შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2019 წლის 24 იანვარი

დაბა შუახევი

„შუახევის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„შუახევის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №32 დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 მუხლი:

„მუხლი 1^1

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შუახევის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულის 2017 წლის 29 დეკემბრის №18 დადგენილება (ვებგვერდი: matsne.gov.ge; სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.135.016191).

მუხლი 2

„შუახევის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №32 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლით განსაზღვრული ცხრილის მე-2 სვეტის 03 02 04 04 პროგრამული კოდით გათვალისწინებული დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის უკანა მხარეს კედლის მშენებლობა“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შუახევის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი დავითაძე**